

შპს “გზა-მშენებელი-13”

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
2.სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	6
3.კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	7
4.ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
5.ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები.....	9
1.ზოგადი ინფორმაცია.....	9
2.მომზადების საფუძველი.....	9
3.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	10
3.1.ამონაგების აღიარება.....	11
3.2.ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.....	12
3.3.ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	13
3.4.ფინანსური ინსტრუმენტები.....	13
3.5.ძირითადი საშუალებები.....	14
3.5.არამატერიალური აქტივები.....	15
3.6.აქტივების გაუფასურება.....	15
3.7.ოჯარა.....	15
3.8.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	16
3.9.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
3.10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
3.11.ბანკის სესხები და ოვერდრაფტები.....	16
3.12.დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.....	17
3.13.კაპიტალის მართვა.....	17
3.14.დივიდენდები.....	17
3.15.ურთიერთგამოქვითვა.....	17
4.ამონაგები.....	17
5.სხვა შემოსავლები.....	18
6.შემენილი მომსახურების ხარჯები.....	18
7.ფინანსური ხარჯი.....	18
8.სხვა ხარჯები.....	19
9.პერიოდის გაუნაწილებელი მოგება-ზარალი.....	19
10.ფულადი სახსრები.....	19
11.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
12.მარაგები.....	20
13.ძირითადი საშუალებები.....	20

14.არამატერიალური აქტივები.....	21
15.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
16.ხელფასები და გამოცხადებული დივიდენდები	22
17.სესხები.....	22
18.მსს ფასს-ის პირველად გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე	23
19.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	23

ხელმძღვანელობს პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების და დამტკიცების დროს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს გზა-მშენებელი-13-ს (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდი 215103091 ხელმძღვანელობს პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობს პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე
- ინფორმაციის წარდგენაზე სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობს აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მსს ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 2 სექტემბერს

დირექტორი----- ირაიდა ფაცია

1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2016
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,598	21,330	39,818
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	42,381	84,381	32,411
გრძელვადიანი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		1,369	
სავაჭრო მოთხოვნები	186,545	146,256	224,213
სხვა არამატერიალური აქტივები	1,032		
ძირითადი საშუალებები	808,954	910,336	448,911
სულ აქტივები	1,046,510	1,163,672	745,353
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	102,741	151,221	89,470
სხვა ფინანსური ვალდებულებები	10,403	8,112	41,161
ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე	45,531	37,791	38,060
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	100,000	95,000	100,000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	248,463	369,197	145,518
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	24,415	534	3,474
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	37,299	10,341	40,057
სულ ვალდებულებები	568,852	672,196	457,740
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,000	2,000	2,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	475,658	489,476	285,613
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	477,129	491,476	287,613
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,046,510	1,163,672	745,353

დირექტორი: ირაიდა ფაცია
 მთ. ბუღალტერი: დალი გაბელაია

1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2016
--	---	---	--

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	7,598	21,330	39,818
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	42,381	84,381	32,411
გრძელვადიანი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		1,369	
სავაჭრო მოთხოვნები	186,545	146,256	224,213
სხვა არამატერიალური აქტივები	1,032		
ძირითადი საშუალებები	808,954	910,336	448,911
სულ აქტივები	1,046,510	1,163,672	745,353

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	102,741	151,221	89,470
სხვა ფინანსური ვალდებულებები	10,403	8,112	41,161
ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე	45,531	37,791	38,060
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	100,000	95,000	100,000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	248,463	369,197	145,518
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	24,415	534	3,474
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	37,299	10,341	40,057
სულ ვალდებულებები	568,852	672,196	457,740

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,000	2,000	2,000
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	475,658	489,476	285,613
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	477,129	491,476	287,613
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,046,510	1,163,672	745,353

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ირაიდა ფაცია

დალი გაბელაია

2.სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ამონაგები	3,004,440	3,724,612

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,625,372)	(1,935,655)
---------------------------------------	-------------	-------------

პერსონალის ხარჯები	(720,865)	(885,912)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(254)	(254)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(14719)	(13,493)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(16,103)	(16,213)
იჯარის ხარჯი	(9,158)	(9,454)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(331,797)	(446,774)
ცვეთა და ამორტიზაცია	(105,751)	(110,498)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(34,682)	(35,602)
საოპერაციო მოგება	145,739	270,757

სხვა ფინანსური ხარჯი	(54,611)	(49,829)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(2,646)	(2,065)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	88,482	218,863
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	88,482	218,863
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	88,482	218,863

დირექტორი:

ირაიდა ფაცია

მთ. ბუღალტერი:

დალი გაბელაია

2.სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ამონაგები	3,004,440	3,724,612

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,625,372)	(1,935,655)
---------------------------------------	-------------	-------------

პერსონალის ხარჯები	(720,865)	(885,912)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(254)	(254)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(14719)	(13,493)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(16,103)	(16,213)
ოჯარის ხარჯი	(9,158)	(9,454)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(331,797)	(446,774)
ცვეთა და ამორტიზაცია	(105,751)	(110,498)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(34,682)	(35,602)
საოპერაციო მოგება	145,739	270,757

სხვა ფინანსური ხარჯი	(54,611)	(49,829)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(2,646)	(2,065)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	88,482	218,863
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	88,482	218,863
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	88,482	218,863

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ირაიდა ფაცია

დალი გაბელაია

3.კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ადრე წარმოდგენილი ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	2,000	285,613	287,613
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი			-
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი			-
დაკორექტირებული ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	2,000	285,613	287,613
მოგება / (ზარალი)		218,863	218,863
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	218,863	218,863
			-
დივიდენდის გამოცხადება		(15,000)	(15,000)
სხვა			-
ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	2,000	489,476	491,476
მოგება / (ზარალი)		88,482	87,953
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	88,482	87,953
დივიდენდის გამოცხადება		(102,300)	(102,300)
სხვა			-
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	2,000	475,658	477,658

დირექტორი:

ირაიდა ფაცია

მთ. ბუღალტერი:

დალი გაბელაია

3. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საექცეო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
--	--	----------------------------------	--------------------------

ადრე წარმოდგენილი ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	2,000	285,613	287,613
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი			-
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი			-
დაკორექტირებული ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	2,000	285,613	287,613

მოგება / (ზარალი)		218,863	218,863
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	218,863	218,863
დივიდენდის გამოცხადება		(15,000)	(15,000)
სხვა			-
ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	2,000	489,476	491,476

მოგება / (ზარალი)		88,482	87,953
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	88,482	87,953
დივიდენდის გამოცხადება		(102,300)	(102,300)
სხვა			-
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	2,000	475,658	477,658

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ირაიდა ფაცია

დალი გაბელაია

4.ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებ ო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	188,330	789,901
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(8,558)	(587,818)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(193,504)	(220,571)
სავალუტო კურსის ეფექტი		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(13,732)	(18,488)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	21,330	39,818
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7,598	21,330

დირექტორი:

ირაიდა ფაცია

მთ. ბუღალტერი:

დალი გაბელაია

4. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებ ო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	188,330	789,901
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(8,558)	(587,818)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(193,504)	(220,571)
სავალუტო კურსის ეფექტი		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(13,732)	(18,488)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	21,330	39,818
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7,598	21,330

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ირაიდა ფაცია

დალი გაბელაია

5.ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს გზა-მშენებელი-13 (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1999 წლის 29 იანვარს ფოთის სასამართლოს მიერ 10/04-229 დადგენილებით და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 215103091, იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. ფოთი. მე-7 კილომეტრი N14. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გზების მშენებლობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა. ახორციელებს სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოს. კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა. მისი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დამფუძნებლები არის ოთხი ფიზიკური პირი:

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია.

კომპანიის მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება.

2.მომზადების საფუძველი

ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში: პერიოდის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში; საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის, პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანია ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად იყენებს საქართველოში მოქმედ ეროვნულ ვალუტას „ლარს“. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვების სიზუსტის ხარისხი დაყვანილია „ლარამდე“.

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამასახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

თანმხლები ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, პირველია, რაც კომპანიამ მოამზადა. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკებში. ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) 2015 წლის რედაქციის მიხედვით. ანგარიშგება მომზადდა პირველად „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება – „მსს ფასს-ზე გადასვლა“

მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“-შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

კომპანია წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ადრინდელი საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს და „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდებთან მიმართებაში. საანგარიშგებო პერიოდში ხელმძღვანელობას არ გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი მსჯელობა გარდა შეფასებებისა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე აღიარებულ თანხებზე.

სამეურნეო ოპერაციების შეფასებისას გამოყენებულია პირვანდელი ღირებულებით შეფასების მეთოდი.

კომპანია ახდენს სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში შეფასებები და დაშვებები შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. მიხედვად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეფასოს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, მაგრამ ხელმძღვანელობა დაეწმუნებულია, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

ბ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

ხელმძღვანელობამ კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ აქტივებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

გ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია უნდა იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე მოვლენებს.

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მიერ დამატებითი ინვესტირების გარეშე.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს გაწეული მომსახურებიდან და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან.

შემოსავალი მომსახურებიდან შემოსავლად მაშინ აღიარდება, როცა

- შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა. ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება კონტრაქტის შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

- მომსახურების გაწევა პრაქტიკულად ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მზა პროდუქციის რელიზაციიდან შემოსავლების აღიარება

ამონაგები საქონლის რელიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სხვა შემოსავლის აღიარება

გაწეული მომსახურებიდან მიღებული და მზა პროდუქციის რელიზაციიდან შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობების გარეშე.

თანხები, რომელიც დარიცხულია გაწეული მომსახურებისთვის და/ან რელიზირებულ პროდუქტზე, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული დამკვეთის/მყიდველის მიერ, წარსდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში “სავაჭრო და სხვა მოთხოვნები”.

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მის ფასს 30-ე განყოფილების “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში” მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - “კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება(ზარალი)”

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

სავალუტო მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები. დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ლარი/1 აშშ დოლარი	2.6468
ლარი/1 ევრო	2.7940

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2017წ
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922
ლარი/1 ევრო	3.1044

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

31.12.2018წ

ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766
ლარი/1 ევრო	3.0701

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისაგან, მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

3.4. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის კონტრაქტი (გარიგება), რომელიც წარმოშობს, როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტები შედგება:

-ფინანსური აქტივებისაგან;

-ფინანსური ვალდებულებებისაგან;

-წილობრივი ინსტრუმენტებისაგან.

ფინანსური აქტივი ნებისმიერი აქტივია, რომელიც არის: ფულადი სახსრები, სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები, სახელშეკრულებო უფლება სხვა საწარმოსაგან მიიღოს ფული ან სხვა ფინანსური აქტივი,

პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება, ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

ფინანსური ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის: საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება, ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი (გარიგება), რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებიდან ყველა მისი ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის (ნეტო აქტივებზე) საკუთრების უფლებას.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულება პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადაეცემა ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის მიერ გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

3.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით

საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	ცვეთის %
შენობა-ნაგებობები	2%
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	8-30%
საოფისე ტექნიკა და კომპიუტერული მოწყობილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	10%

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება, აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

3.5.არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნოშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

3.6.აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი

დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე. ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსაცია აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვასთან საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3.7. იჯარა

იჯარა, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგებისა და ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე მოხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სათადარიგო ნაწილებს. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

3.9.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის დაუყოვნებლივ აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

3.11.ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.12.დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტინთან აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება იმ პერიოდის ხარჯებში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არ ყოფნის ფაქტი.

3.13.კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შენარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

3.14.დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

3.15.ურთიერთგაქვითვა

აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ანგარიშგებაში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას ურთიერთგაქვითვა ნეტო საფძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

4.ამონაგები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მთლიან. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლებად, რომელ პერიოდშიც იქნება გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კონპესაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო ღირებულებით. ე.ი. მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ) გარეშე.

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	შემოსავალი შესრულებული სამუშაოს მიწოდებით	3003605	3712675
	ამონაგები მიწოდებიდან	3003605	3712675

5.სხვა შემოსავლები

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	835	11937

სულ:	835	11937
------	-----	-------

6.შეძენილი მომსახურების ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	რემონტის დანახარჯები	98795	95435
2	სატრანსპორტო მომსახურება	90612	77246
3	საიჯარო ქირა	9158	9454
4	კომუნიკაციის ხარჯი	6841	5948
5	დაზღვევა	10388	10445
6	რეკლამის ხარჯი	254	254
7	კომპიუტერის ხარჯები	517	159
8	ბანკის მომსახურების საკომისიო	1884	4762
9	საკანცელარიო ხარჯი	1164	856
10	რეესტრის მომსახურების ხარჯი	10	10
11	კომუნალური მომსახურების ხარჯი (შუქი, წყალი, გაზი)	9262	12957
12	სხვა კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოები	76612	180589
13	სხვა მომსახურება	66363	92325
	სულ:	371860	490440

7.ფინანსური ხარჯი

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	საპროცენტო ხარჯი	54611	49829
	სულ:	54611	49829

8.სხვა ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	გაწეული მატერიალური დახმარებები	2646	1663
2	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18133	18323
	სულ:	20779	19986

9.პერიოდის გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში	489476	285613
2	ცვლილება წინა პერიოდის შემოსავლებში და ხარჯებში		0
3	მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	88482	218863
4	დარიცხული დივიდენდი	-102300	-15000
	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	475658	489476

10.ფულადი სახსრები

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	ნაღდი ფული სალაროში	0	0
2	ფული საბანკო ანგარიშებზე (ლარი)	7598	21330
	სულ:	7598	21330

11.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	186140	145722
2	საექვო მოთხოვნების რეზერვი	0	0
3	მოთხოვნები პერსონალის წინაშე	405	0
4	სხვა მოთხოვნები	0	0

სულ:	186545	145722
------	--------	--------

ზემოთ აღნიშნული ცხრილი მოიცავს მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა მოდევნო წელს იწურება.

მიწოდებიდან და გაწეული მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების ასაკობრივი ანალიზი შემდეგია:

მოთხოვნები ნიწოდებიდან და მომსახურებიდან	ნაშთი 01.01.2019წ	გადაფასების რეზერვი
ვადაგადაცილებული 1 წლამდე ვადით	162711	0
ვადაგადაცილებული 2 წლამდე ვადით	1609	0
ვადაგადაცილებული 3 წლამდე ვადით	14130	0
ვადაგადაცილებული 3 წელზე მეტი ვადით	7690	0
სულ:	186140	0

12. მარაგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	მარაგები წლის დასაწყისში	85750	32411
2	ხარჯად აღიარებული მარაგები	-1625372	-1935655
3	მარაგები წლის ბოლოს	42381	85750

13. ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები და ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
------------	-----------------	--------------------------	------------------------	---------------------	-------------------------	--------------------------	-----

საწყისი ღირებულება							
ნაშთი:31.12.2016	31677	31679	64243	41838	45987	396797	612221
აქტივების შეძენა		1760		1729	11848	572482	587819
აქტივების გასვლა				-8772	-6823	-300	-15895
ნაშთი:31.12.2017	31677	33439	64243	34795	51012	968979	118414 5
აქტივების შეძენა					8558		8558
აქტივების გასვლა				-500	-4438	-5119	-10057
ნაშთი 31.12.2018	31677	33439	64243	34295	55132	963860	118264 6
აღიარებული ცვეთა							
ნაშთი:31.12.2106	0	0	3212	5857	17475	138879	165423
ცვეთის დარიცხვა			3052	5483	10860	90563	109958
ცვეთის ჩამოწერა							0
ნაშთი:31.12.2017	0	0	6264	11340	28335	229442	275381
ცვეთის დარიცხვა			2899	4983	10085	87244	105211
ცვეთის ჩამოწერა				-500	-3080	-3319	-6899
ნაშთი:31.12.2018	0	0	9163	15823	35340	313367	373693
საბალანსო ღირებულება							
31.12.2016 წელი	31677	31679	61031	35981	28512	257918	446798
31.12.2017 წელი	31677	33439	57979	23455	22677	739537	908764
31.12.2018 წელი	31677	33439	55080	18472	19792	650493	808953

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

14.არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება

საბუღალტრო და სხვა
პროგრამები

ნაშთი:31.12.2016

2112

აქტივების შეძენა
 აქტივების გასვლა
 ნაშთი:31.12.2017 2112

აქტივების შეძენა
 აქტივების გასვლა
 ნაშთი 31.12.2018 2112

ამორტიზაცია

ნაშთი:31.12.2016 0

დარიცხვა 540

ჩამოწერა

ნაშთი:31.12.2017 540

დარიცხვა 540

ჩამოწერა

ნაშთი 31.12.2018 1080

წმინდა საბალანსო ღირებულება

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2112

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1572

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1032

ამორტიზაცია დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

15.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	102741	151221
2	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10402	8112
	სულ:	113143	159333

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

16.ხელფასები და გამოცხადებული დივიდენდები

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	სახელფასო ვალდებულება	37299	10341
2	ვალდებულება გამოცხადებული დივიდენდით	24415	0

სულ:	61714	10341
------	-------	-------

17.სესხები

	დასახელება	ნაშთი 31.12.201 8	ნაშთი 31.12.201 7
1	სს ვი თი ბი ბანკი	100000	95000
2	სს ვი თი ბი ბანკი	248463	369197
	სულ:	348463	464197

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია მოძრავი და უძრავი ქონებით.

18.მსს ფასს-ის პირველად გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს ფასს-ით მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

წინა საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური ანგარიშგების მიმართულებით კომპანიას სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრული ჰქონდა ადრინდელი საზაგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების საფუძველზე. მსს ფასსის პირველად გამოყენების დროს განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდება მანამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისაგან. შესაბამისად, მსს ფასს-ის პირველად გამოყენებას არ გამოუწვევია ცვლილებები საწარმოს კაპიტალში და სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის 2017 წლის 31 დეკემბრისთვის.

19.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღის ჩათვლით დამატებით მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 2 სექტემბერს.

